



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211481

თარიღი:28/05/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 23

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის

სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11)

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



**სარეზერვო ფონდის განკარგვასთან დაკავშირებით
2020 წლის ანგარიში**

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის დასაწყისისათვის განისაზღვრა 100,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი სარეზერვო კომისიისა და მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. 2020 წლის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის განმავლობაში დაზუსტდა 130,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებებზე იქნა მიმართული, მათ შორის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალური დახმარებისათვის 105,8 ათასი ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალგაზრდების აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად 1,2 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტში მცხოვრები 70 წელს გადაცილებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბენეფიციარების დასახმარებლად 21,0 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები კოვიდ გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურებისათვის (მიცვალებულის ტრანსპორტირება) 2,0 ათასი ლარი.

№	თარიღი	ბრძან. №	ბრძანების საგანი	თანხა
1	22.01.2020 23.01.2020	31 69 და 31 74	ქ. ბაქოში ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად თანხის გამოყოფა	1200
2	22.01.2020	31 73	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	400
3	21.02.2020	31 660	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	2590
4	07.04.2020	31 1194	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	19430
5	15.04.2020	31 1221	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	3750
6	01.05.2020	31 1349	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	2850
7	15.05.2020	31 1458	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	2215
8	25.05.2020	31 1503	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	7700
9	03.06.2020	31 1582	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	9950
10	19.06.2020	31 1734	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	6300
11	30.07.2020	31 2128	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	5180
12	19.08.2020	31 2318	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	700
13	04.09.2020	31 2524	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	7550
14	25.09.2020	31 2739	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	15750
15	21.10.2020	48.48202953	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	12400
16	11.12.2020	48.48203461	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	7680
17	21.12.2020	48.48203568	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა 70 წელს გადაცილებულთა დახმარებისათვის	21000
18	21.12.2020	48.482035625	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ერთჯერადი დახმარებისათვის	1310
19	16.12.2020	48.482035132	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფასარიტუალო მომსახურებისათვის	565
20	16.12.2020	48.482035138	სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფასარიტუალო მომსახურებისათვის	1485
სულ ჯამი:				130005